

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 4**

ქ. თბილისი

15.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

გრიგოლ მურდულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თამარ ფაჩულია - შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის დამფუძნებელი, დირექტორი;

ნინელი გვენცაძე - შპს მზეკაბანი-2007-ის დირექტორი;

აზა მემანიშვილი - შპს მზეკაბანი-2007-ის ხარისხის მართვის მენეჯერი;



დეკანოზი ზურაბი (სუბელიანი) - ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის პრორექტორი სასულიერო სწავლების დარგში;

მაია ონიანი - ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის სასწავლო პროცესის კოორდინატორი;

ნატო ზარნაძე - შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის დირექტორის მოადგილე;

მაია ლაპიაშვილი - შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის განათლების ხარისხის განვითარების მენეჯერი;

მაია დუდაური - შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის სასწავლო ნაწილი;

ჟუჟუნა მუმლაძე - შპს ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;

რეზო ნინუა - შპს ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილი;

აკაკი დუმბაძე - შპს ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელი;

გიორგი სიხარულიძე - შპს ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ათთი მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან ბოტკოველი

თამარ ჩხიკვაძე

იანინა გიგიბერია

ნატო გაბოშვილი

დავით ჭეიშვილი

ლელა ბუბაშვილი

ლიანა კობესაშვილი

ელენე გვენცაძე

ციალა გაგნიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურდულიამ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა სხდომის მდივნის არჩევის საკითხი. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ სხდომის მდივნის მოვალეობას შეასრულებდა საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მზეკაბანი - 2007 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ხიხანი მარავლპროფილიან საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს თამარ ფაჩულიას სახელობის საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და თამარ ჩხიკვაძე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მისია იყო საკმაოდ ვრცელი და ზოგადი, რის თაობაზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, მისი უფრო ნათლად და ლაკონურად ჩამოყალიბების თაობაზე. ექსპერტთა განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის ფორმატში, იგი შედგებოდა ბევრი ზოგადი ხასიათის თავისაგან, რომელიც მოყვებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, რის თაობაზეც, ექსპერტთა განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რომ ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის თაობაზე შემუშავებული ყოფილიყო ასევე ნათელი და კონკრეტული სახით. სხვა შენიშვნები საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, ექსპერტთა განცხადებით არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა მოსწავლეთა რაოდენობითა და სკოლის სახელწოდებით. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 92 მოსწავლე, ხოლო სკოლის და იურიდიული პირის დასახელება იყო იდენტური.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ :

შპს თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა გიმნაზიას მდებარეობა ქ.ფოთში, წმ. გიორგის ქ. № 11-ში.ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე (რომელიც გაფორმებული აქვს 6 წლის ვადით , 2023 წლამდე) სკოლის შენობის საერთოფართი შედაგენდა 576.02 კვ.მ-ს.

შენობაში იყო 12 საკლასო ოთახი, რომლებშიც განთავსებული იყო 111 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულებაში საერთო ჯამში განთავსებული იყო 179 მაგიდა და სკამი. ინვენტარი, რომელიც არ იყო განლაგებული საკლასო ოთახებში, იყო დასაწყობებული.

- სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 31.90 კვ.მ გამოიყენებოდა სპორტის გაკვეთილებისათვის. აღნიშნულ ოთახს არ ჰქონდა ბუნებრივი განათება, თუმცა ჰქონდა დიდი რკინის კარი, რომელიც კარგი ამინდის პირობებში იღებოდა.
- რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა საკუთარი სპორტული დარბაზი, სკოლას სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ქ. ფოთის ხელბურთის კლუბ „ოქროს ვერძთან“ სპორტული დარბაზით სარგებლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში იყო 2023 წლის 25 იანვრამდე. რომლის თანახმადაც, შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიას“ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის შეეძლო სპორტული დარბაზით უსასყიდლოდ სარგებლობა და სპორტის გაკვეთილების ჩატარება დღის პირველ ნახევარში კვირაში ორჯერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

- სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც შეძენილი იყო შპს „ინსტა ჯორჯიასგან“. გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება რომლის მიხედვითაც, სკოლამ მიიღო 208 დასახელების საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.
- აღჭურვილობა განთავსებული იყო მე-5 კლასის ოთახის კარადაში. ოთახს ჰქონდა ფანჯარა და დამონტაჟებული იყო პატარა წყლის ავზი და ნიჟარა. საბუნებისმეტყველო გაკვეთილები რიგ შემთხვევაში ტარდებოდა აღნიშნულ საკლასო ოთახში, რიგ შემთხვევაში მასწავლებელს გამოჰქონდა საჭირო აღჭურვილობა სხვა საკლასო ოთახში. აღნიშნულის გათვალისწინებით დირექტორს მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიის ცალკე გამოტანის თაობაზე.

- სკოლა განთავსებული იყო ორ სართულზე სკოლის შესასვლელში დამონტაჟებული იყო 1 სამშენებლო-სასაფლაო ვიდეო კამერა, რომელიც აკონტროლებდა გარე პერიმეტრის მხოლოდ ერთ მიმართულებას (კანონის თანახმად მოთხოვნილი იყო 2 გარე ვიდეოკამერა). შიდა პერიმეტრს კი აკონტროლებდა 2 კამერა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შეესაბამება ყოფილიყო მოყვანილი კანონით დადგენილ ნორმებთან.

ექსპერტთა განმარტებით დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა დამატებითი ვიდეოკამერების შესყიდვის დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების საფუძველზე კი დასტურდება, რომ აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას აღმოეჩინა ჰქონდა.

ექსპერტებმა დააფიქსირეს შენიშვნები ადამიანურ რესურსების სტანდარტებთან მიმართებითაც, კერძოდ:

- 22 მასწავლებლიდან 19 ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული

განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ორზე სკოლის დირექტორს გაგზავნილი ჰქონდა მოთხოვნის წერილი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე, მათი აღნიშნულ სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით. ხოლო ერთთან ჯერ-ჯერობით გამოსაცდელი ვადით იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

- ფიზკულტურის მასწავლებელს, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი 1986 წელს, ასწავლიდა ასევე ჭადრაკსაც. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ცნობა აღნიშნული მასწავლებლის მიერ ჭადრაკის ტურებში მონაწილეობის და წარმატებების მოპოვების შესახებ. თუმცა რეალურად კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი მას არ გააჩნდა.

საბჭოს წევრი თამარ კაპანაძე დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე იქნა შემუშავებული სკოლის დირექციის მიერ რეგულაცია, რომლის თანახმადაც პედაგოგი სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო სამსახურში ზედიზედ 4 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობის გამო.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა დაფიქსირებული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო სკოლას გაეწია რეკომენდაცია, რის შედეგადაც დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ზემოაღნიშნული ხარვეზები გამოსწორებულია.

ექსპერტთა განმარტებით, სკოლაში არსებული რეგულაციის მიხედვით, მოსწავლე, რომელიც 30 საათის მერე გაცდენდა გაკვეთილს იხდიდა 2 ლარს ჯარიმის სახით. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ საუბარი როგორც სკოლის დირექციასთან ასევე სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. ექსპერტთა განმარტებით, მშობლებმა განაცხადეს, რომ მათ მოსწონდათ მსგავსი რეგულაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე განსაზღვრა დაწესებულებამ ჯარიმის ოდენობა ორი ლარის ოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებითაღნიშნული ჯარიმა ეხებოდა არასაპატიო საათებს და გულისხმობდა რამოდენიმე ეტაპის განხორციელებას, კერძოდ, მოსწავლის მიერ 12-15 საათის გაცდენის შემთხვევაში, მოხდებოდა მშობლის გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. ასევე მოხდებოდა ახალი მოსწავლის მშობლის ინფორმირება აღნიშნულ რეგულაციასთან დაკავშირებით. 20 საათის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში, მშობელი წერდა ახსნა-განმარტებას, ხოლო 25-30 საათის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში, მშობელი თითო გაცდენილ საათზე იხდიდა ერთ ლარს. იმ შემთხვევაში, თუ არასაპატიოდ გაცდენილი საათების ოდენობა მიაღწევდა 40 საათს გადასახდელი იზრდებოდა 2 ლარამდე. ამასთან, პედსაბჭოზე ხდებოდა ასეთი მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ სკოლას არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობი დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 150 მოსწავლის ადგილი და ამჟამადც მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 150-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს თამარ ფაჩულიას სახელობის საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სკოლისათვის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შპს თამარ ფაჩულიას სახელობის საავტორო სკოლა-გიმნაზიას (ს/კ: 215149284) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

2. შპს მზეკაბანი-2007-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა იანინა გიგიბერიამ და ნატო გაბოშვილმა.

ექსპერტთა განაცხადებით, ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. მათი განმარტებით, მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რეკომენდაცია შეფასების რუბრიკებში აღმწერის დახევეწასთან დაკავშირებით, რადგან არ იყო განსაზღვრული აღმწერის დონე. 1-4 ქულის დონის აღმწერი არ განსაზღვრავდა თუ რაში უნდა ყოფილიყო მინიჭებული 1 და რაში 4 ქულა, კონკრეტულად არ იყო მითითებული არგუმენტი, მაგალითი, მოსაზრება და ა.შ..

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მითითებული უზუსტობა ვიზიტის პერიოდშივე იქნა გამოსწორებული, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფს დანართის სახით ჰქონდა წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძე დაინტერედა, ხომ არ იყო ტექნიკური ხარვეზიარჩევით საგნებთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი განმარტებით, დასკვნიდან ჩანდა, რომ მე-12 კლასში არჩევითი საგანი არ იყო შეთავაზებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს და მე-9, მე-10, მე-11 კლასებთან ერთად მითითებული უნდა ყოფილიყო მე-12 კლასიც.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასკვნის მიხედვით მე-12 კლასის მოსწავლეთათვის გეოგრაფია განსაზღვრული იყო 4 საათით. სხვა დანარჩენი საგნები კი შემოიფარგლებოდა 1 ან 2 საათით, იგი დაინტერესდა თუ რატომ იყო განკუთვნილი გეოგრაფიისათვის საგანგებოდ 4 საათი. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მე-12 კლასში გეოგრაფია აღარ ისწავლებოდა საათები გაზრდილი იქნა აბიტურიენტთა მომზადების მიზნით, ხოლო აღნიშნული საათობრივი დატვირთვით გეოგრაფიას შეისწავლიდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც დამატებით საგნად არჩეული ექნებოდათ გეოგრაფია. ექსპერტმა დააფიქსირა დასკვნაში ასახული გარემოებები მატერიალურ რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით. კერძოდ:

- სკოლა განთავსებული იყო 5 სართულიანი შენობის პირველ და მესამე სართულზე, საერთო ფართი შეადგენდა 681,30 კვ.მ-ს. სკოლის ძირითადი ნაწილი განთავსებული იყო მესამე სართულზე, ხოლო მცირე ნაწილი - პირველ სართულზე. აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენდა კერძო პირის საკუთრებას რომელთანაც გაფორმებული იყო ქირავნობის ხელშეკრულება 10 წლის ვადით, 2026 წლამდე.
- სკოლას ჰქონდა 14 საკლასო ოთახი, რომელში აღჭურვილი იყო ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით სულ 139 მოსწავლეზე გათვლილი, ხოლო 15 ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხი და სკამი იყო დასაწყობებული. ანუსკოლა ფლობდა 154 მერხსა 154 სკამს. სკოლას ჰქონდა 1 შესასვლელი, პირველ სართულზე განთავსებული იყო სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მესამე სართულზე განთავსებული იყო დანარჩენი საკლასო ოთახები.
- საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა და აუცილებელი მინიმალური ავეჯი. დაწესებულებაში იყო კიდევ 5 საკლასო ო-თახი რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით.
- რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა საკუთარი სპორტული დარბაზი, სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ა(ა)იპ - თერჯოლის სპორტული სკოლა და თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორთან, რომლის შესაბამისადაც მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები უტარდებოდათ სპორტულ დარბაზსა და მინი-სტადიონზე, რომელიც სკოლიდან დაახლოებით 50 მეტრით იყო დაშორებული
- ჭადრაკის გაკვეთილები ტარდებოდა სკოლაში. ამასთან, შენობის მესამე სართულზე, დერეფანში გამოყოფილი იყო სივრცე მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ.
- მესამე სართულზე კიბის უჯრედი არ კონტროლდებოდა ვიდეომეთვალყურეობის საშუალებით. ვიზიტის განმავლობაში დამონტაჟდა მეექვსე კამერა, რომელიც აკონტროლებდა მთავარი შესასვლელის შიდა მხარეს, კიბის უჯრედს. სკოლის მესამე სართულზე განთავსებული იყო მეორე გასასვლელი, რომელიც უკავშირდებოდა ძირითად შენობას. ეს გასასვლელი არ კონტროლდებოდა ვიდეო მეთვალყურეობის კამერებით, ვიზიტის განმავლობაში მოხდა გასასვლელის გაუქმება (დახურვა) და შესაბამისად ცვლილება შევიდა საევაკუაციო გეგმაში.

ადამიანურ რესურსების სტანდარტთან მიმართებით:

- დაწესებულებას 2 მასწავლებელი (ინგლისურისა და მათემატიკის პედაგოგები) 2016 წელს ჰყავდა მიღებული, რომელთაც „ზოგადი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად არ ჰქონდათ სკოლაში სწავლების უფლება.
- ექსპერტმა ვიზიტის დროს დირექტორმა გაათავისუფლა ინგლისური ენის პედაგოგი (რომელიც დროებით იყო აყვანილი დეკრეტულ შვებულებაში გასული პედაგოგის მოვალეობის შემსრულებლად. მისი გათავისუფლება მოხდა ხელშეკრულების პირობების

დაცვით). საათები გადაეცა დეკრეტიდან დაბრუნებულ უფროს მასწავლებელს. გაანთავისუფლებული იქნა ასევე მათემატიკის მასწავლებელი და გადაყვანილ იქნა გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლად. მათემატიკის საათები კი გადაეცა ორ უფროს მასწავლებელს. გათავისუფლებისა და დანიშვნის ბრძანებები წარმოდგენილი იყო თანდართული დოკუმენტების სახით.

- სპორტის ორ პედაგოგს სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული. ერთი ასწავლიდა ჭადრაკს, და იყო C კატეგორიის ჭადრაკის მწვრთნელი. მეორე პედაგოგს, რომელიც ასწავლიდა ფეხბურთს, დამთავრებული ჰქონდა სპორტული კოლეჯი და მინიჭებული ჰქონდა ფეხბურთში მწვრთნელი მასწავლებლის კვალიფიკაცია. მას ასევე ჩაბარებული ჰქონდა გამოცდა და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განათლების B კატეგორიის ლიცენზია /
- თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკეზანი-2007-ისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და არსებული მატერიალური რესურსიდან გამომდინარე საკითხი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მზეკეზანი-2007-ს (ს/კ: 231948603) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა დავით ჭიშვილმა და ლელა ბუბაშვილმა.

ექსპერტმა დააფიქსირა დასკვნაში არსებული გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლაში არსებობდა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, სადაც დაკონკრეტებული იყო შეფასების ტიპები, გაცდენების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, ასევე გაწერილი იყო გაცდენილი შემთხვევების დავალებების აღდგენის ვადები და პირობები, სხვადასხვა ტიპის გამოცდის ჩატარების პროცედურები (საშემოდგომო, წლიური, ექსტერნატის ფორმით დაძლევის), წლიური დამამთავრებელი გამოცდების ჩამონათვალი მიმდინარე სასწავლო წლისთვის; თუმცა გამოცდების ტიპების ჩამონათვალში არ იყო მოცემული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდა. აღნიშნულის თაობაზე გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან მსგავსი შემთხვევა არ ჰქონიათ და ეს საკითხი ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო მოცემული, აღარ მომხდარა მისი სკოლის სასწავლო გეგმაში შეტანა. მისი განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში ისინი იხელმძღვანელებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პრინციპები ცალკე დოკუმენტის სახით არ ყოფილა მოცემული, თუმცა მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი იყო აღნიშნული საგნების თემატურ-კალენდარული გეგმები, შეფასების სისტემა, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, შემთხვევითი სამუშაოების ანალიზის ფორმები; შემუშავებული იყო. ინკლუზიური განათლების პრინციპები ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, ამიტომ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ იყო შემუშავებული; სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ცვლილებების, სიახლეებისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირების მარეგულირებელი დოკუმენტი, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობელთა ინფორმირება დამრიგებლის მიერ ხდებოდა ძირითადად მშობელთა კრებებზე და მასწავლებლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს.

1.2 სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე ყოველწლიურად ტარდებოდა წლიური დამამთავრებელი გამოცდები: არაუმეტეს ორ საგანში, ამავე დროს ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა ყოფილიყო ორწლიანი შუალედი. თუმცა, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გასულ სასწავლო წლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ჩაუტარდათ 2 ან 3 გამოცდა. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ მოსწავლეებსა და მშობლებს წლიური გამოცდების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდათ გამოცდებამდე 2 თვით ადრე.

1.3 სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა სკოლის მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის პროგრამა. თუმცა დამრიგებლები ძალიან აქტიურად ურთიერთობდნენ მშობლებთან, მშობლებს ინდივიდუალურად მიეწოდება ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებდა მშობელთა სათათბირო. სათათბიროს წევრთა უფლება-მოვალეობები და ფუნქციები დაწვრილებით იყო გაწერილი მშობელთა სათათბიროს დებულებაში. გარდა ამისა, სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა სახის კვლევები, რომლებშიც მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულები. მაგ.: „მშობელთა კმაყოფილების კვლევა“. კვლევებში ჩართულ მშობელს სხვადასხვა შეკითხვებზე პასუხების გაცემის გარდა, ჰქონდათ საშუალება სკოლისათვის მიეცათ რეკომენდაციები ნებისმიერ საკითხზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა საღვთო სჯულის სწავლებანებაყოფლობითი იყო თუ სავალდებულო და როგორი სტრუქტურა ჰქონდა პროგრამას.

ექსპერტის განმარტებით აღნიშნული საგანი შეტანილი იყო სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში. საგანი ისწავლებოდა 1-12 კლასების ჩათვლით. საგანს ასწავლიდა სამი მასწავლებელი.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველიდან მესამე კლასამდე საგანს ჰქონდა შემეცნებითი ხასიათი, სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა იაკობ გოგებაშვილის საღვთო ისტორია. უშუალოდ საღვთო სჯულის სწავლება იწყებოდა მეექვსე მეშვიდე კლასიდან. მეათე მეთერთმეტე კლასიდან იწყებოდა ეკლესიის ისტორიის შესწავლა, ხოლო მეთორმეტე კლასში ისწავლებოდა საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონიათ. მისი განმარტებით, სკოლაში სწავლობდა 274 მოსწავლე. მას სურვილი ჰქონდა მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილიყო 334-მდე, რის საშუალებასაც იძლეოდა მატერიალური ბაზაც. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ასევე არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირებულა ადამიანურ რესურსთან მიმართებით, ყველა მასწავლებელი ჩართული იყო სქემაში, 27 პედაგოგიდან 19 იყო უმაღლესი სტატუსის მატარებელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის წყალტუბოს სასულიერო გიმანზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიას (ს/კ: 221282396) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330-ით.



4. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ლიანა კობესაშვილმა და ელენე გვენცაძემ. მან აღწერა მონიტორინგის შედეგები და დასკვნები შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის თაობაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამულ ნაწილთან მიმართებით დაფიქსირებული იქნა მხოლოდ ერთი ხარვეზი, კერძოდ: სკოლას მეათე კლასში ჰქონდა წლიური გამოცდები ზეპირი სახით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში. სულ სამ საგანში. ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23^ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არა უმეტეს ორ საგანში. ამასთან, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის შუალედი უნდა ყოფილიყო ორი წელი მაინც. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა გაწეული რეკომენდაცია და წარმოდგენილი ჰქონდათ ცვლილება სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც გაწერილი იყო ორი გამოცდა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გაცემული იქნა ერთი რეკომენდაცია. კერძოდ სასწავლო ფართი დაწესებულებას ნაქირავები ჰქონდა სამი ფიზიკური პირისაგან. ერთ-ერთი ქირავნობის ხელშეკრულება, დადებული იყო ნიკოლოზ და გიორგი ჯანჯღავებთან 10 წლის ვადით 740 კვ.მ-დან 234 კვ.მ-ზე. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან გაურკვეველი იყო შენობის რა ნაწილს მოიცავდა ჯანჯღავების საკუთრებაში არსებული ფართი. ექსპერტთა განმარტებით, სასურველი იყო სკოლას გაემიჯნა სარგებლობაში არსებული ფართი ჯანჯღავების ფართისაგან. რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა და დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოზე.

რაც შეეხებოდა ადამიანურ რესურსს, სკოლის მასწავლებელთა ნაწილი ჩართული იყო სქემაში, 2 მასწავლებელზე, ე-ნ ნინო ზაქაშვილისა და ნინო თომაშვილის სქემაში ჩართვის თაობაზე, დაწესებულებას გაგზავნილი ჰქონდა წერილი საგანმანათლებლო რესურსცენტრში. რის თაობაზეც, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან აღნიშნული თაობაზე მიღებული ჰქონდათ უარი. ხოლო 2 მასწავლებლის (ზარნაძესა და ცისკარიშვილზე) სქემაში ჩართვის თაობაზე არ იყო არანაირი მიმოწერა წარმოებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ მიიღო დაწესებულებამ უარი რესურსცენტრიდან. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ორ მასწავლებელს მუშაობა დაწყებული; ჰქონდა 2016 წლის სექტემბრიდან, შესაბამისად ვერაფრით ვერ მოხდებოდა მათი სქემაში ჩართვა. მასწავლებლებთან დადებული იყო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იმუშაებდნენ დროებით რათა არ ჩაშლილიყო სასწავლო პროცესი. ამასთან, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები. ხოლო იმ ორ მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლების თაობაზე ექსპერტმა განმარტეს, რომ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა, გაგზავნილი იყო განცხადება რესურსცენტრში და ელოდებოდნენ პასუხს.

საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუწია რეკომენდაცია, რომ მასწავლებლები რომლებიც არ იყვნენ ჩართული სქემაში აეყვანათ შემცვლელ მასწავლებლებად, სანამ გამოცხადებული ვაკანსიის საფუძველზე მიიღებდნენ კვალიფიციურ მასწავლებლებს.

ექსპერტმა ელენე გვენცაძემ განაცხადა, რომ სკოლას ასევე ჰქონდა პროფესიული განათლების საფეხური, რომელიც ასევე იქნა გადამოწმებული სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მან აღინიშნა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა არსებულ სტანდარტებს, ერთადერთი შენიშვნა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ვიზიტის პერიოდში პრაქტიკის კომპონენტთან მიმართებით ვერ მოხერხდა მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების მოძიება. ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწესებულებამ მოიძია ემოხსენებული დოკუმენტაცია და მიაწოდა, როგორც ექსპერტებს ასევე ცენტრს, რაც ასევე ატვირთული იყო ვებგვერდზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის (ს/კ: 202065068) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს ხიხანი მრავალპროფილიან საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა დავით ჭეიშვილმა და ციალა გაგნიძემ თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სამივე სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული იქნა სერიოზული ხარვეზები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლაში მოსწავლეები ყველა იმ სავალდებულო საგნებს სწავლობდნენ, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით იყო გათვალისწინებული, თუმცა 2016-2017 სასწავლო წელს დამტკიცებულ საათობრივ ბადეში ერთ-ერთ ძირითად საგნად XI კლასში გლობალური გეოგრაფიის 2 საათი იყო გათვალისწინებული. საგანი „გლობალური გეოგრაფია“ არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემულ არც სავალდებულო საათობრივ ბადეში და არც არჩევითი საგნების ნუსხაში. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული საგანი არ იყო გათვალისწინებული შემაჯამებლების მინიმალური რაოდენობის ნუსხაში. დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული საგანი ისწავლებოდა, როგორც ძირითადი საგანი.

საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. რითაც დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლის მე-10 პუნქტი და 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ასევე საათობრივ ბადეში ფრანგული, გერმანული, რუსული და ინგლისური ენები ისწავლებოდა როგორც ძირითადი საგანი. X-XII კლასებში 2 საათი და აბიტური - 2 საათი. სკოლის დირექციისა და პედაგოგების განმარტებით: სხვადასხვა სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეები, რომლებიც ფლობდნენ ზემოაღნიშნულ ენებს ჩაუტარდებოდათ გერმანულისა და ფრანგული ენის გაკვეთილები. თუმცა აღნიშნულ ეტაპზე არცერთ X-XII კლასებში არ იყო მოსწავლე, რომელიც საჭიროებდა აღნიშნული საგნების ჩატარებას. ორივე პედაგოგი (გერმანული და ფრანგული ენის) იყო XII კლასების დამრიგებელი. აქედან გამომდინარე სკოლის მისია - გაძლიერებულიყო და განვითარებულიყო გერმანული, ფრანგული ენა, ეჭვქვეშ დგებოდა, რადგან სკოლას არ ჰყავდა მოსწავლეთა კონტიგენტი და არ ჰქონდა შემუშავებული საჭირო მექანიზმები,

თუმცა, ადამიანური რესურსის კუთხით იყო მზაობა. იგივე შეეხებოდა მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებასა და გაძლიერებას. საათობრივ ბაღეში ზემოაღნიშნული საგნები ისწავლებოდა იმ საათობრივი დატვირთვით (პროგრამული და აბიტური), რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო გაწერილი.

1.2 მოსწავლეთა მიღწევები სკოლამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მათი მოსწავლეები წარმატებით აბარებდნენ ეროვნულ გამოცდებს და მაღლობის წერილებიც ჰქონდა სკოლას მიღებული (მაგალითად: თავისუფალი უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი).

1.3 წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ იყო დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ იყო არ იყო ბეჭედდასმული. ყველა ზემოაღნიშნული ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები გარდა საათობრივი ბადისა დათარიღებული იყო 2015-2016 სასწავლო წლით, რომელიც კალმით იყო გადასწორებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, დათარიღებული იყო და კალმით გადასწორებული 2015-2016 სასწავლო წლად; სადამრიგებლო პროგრამები წარმოდგენილი იყო ცალ-ცალკე მაგალითად: XIა; XIბ; XIIა; XIIბ. ყველა მათგანი იდენტური იყო. პროგრამის ერთ-ერთ პუნქტით განსაზღვრული იყო დამრიგებლის მოვალეობა, „რეგულარულად (I-IV კლასებში თვეში ოთხჯერ, V-VI კლასებში თვეში ორჯერ, ხოლო VII-IX კლასებში თვეში ერთხელ) ჩაეტარებინა სადამრიგებლო საათი“. სკოლას საერთოდ არ ჰყავდა ზემოაღნიშნული საფეხურის მოსწავლეები და კონტექსტიდან იყო ამოვარდილი მაგალითად XIა - კლასში ჩასატარებელ გაწერილ სადამრიგებლო საათის პროგრამაში ზემოაღნიშნული ჩანაწერი. სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილი იქნა 2016 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომლითაც თითქოს დამტკიცებული იყო სკოლის სასწავლო გეგმა, მაგრამ ის ვერ პასუხობდა ოქმისთვის წაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს. კერძოდ, არ ჩანდა პედაგოგის რამდენი წევრი ესწრებოდა სხდომას და ასევე უცნობი იყო მათი ვინაობა, ასევე უცნობი იყო, თუ ვინ იყო ის ქალბატონი, რომელმაც პედაგოგის გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და ა. შ. რის შემდეგაც ჩნდებოდა აზრი, იმის თაობაზე, რომ ოქმი საგანგებოდ ვიზიტის დროს ექსპერტთათვის საჩვენებლად იყო გაკეთებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმა ნაწილობრივ გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და ნაწილობრივ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

1.4 სკოლაში მოქმედებდა შემდეგი კათედრები: ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენების, ხელოვნებისა და სპორტის კათედრა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრები იკრიბებოდნენ და ატარებდნენ სდხომას, კათედრის ხელმძღვანელს აირჩეოდ ერთი წლის ვადით. სამივე კათედრის სამუშაო გეგმის დოკუმენტი იყო იდენტური იყო სამუშაო გეგმის თარიღად განსაზღვრული იყო 2015-2016 სასწავლო წელი, რომელიც ასევე იყო გადასწორებული კალმით. სკოლა საათობრივი ბადის მიხედვითარჩევით საგნად X-XI კლასელ მოსწავლეებს სთავაზობდა: სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, თუმცა არ იყო მითითებული რომელი კურსი შეისწავლებოდა პრაქტიკული, თუ თეორიულ - პრაქტიკული. გაუგებარი იყო XI კლასში - ეკონომიკისა და სახელწიფოს, X-XII კლასებში კი გეოგრაფიულ კვლევის სწავლების ორგანიზება, რადგანაც აღნიშნული საგნები იყო ერთ მოდულიანი და

ორ სემესტრიანი, ხოლო X-XII კლასებში არჩევითი საგანი უნდა ყოფილიყო შესწავლილი 5 სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობებში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული საგანი „გეოგრაფიული კვლევა“. გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებად კი სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა: ჭადრაკსა და ზოგად უნარებს. სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო დოკუმენტი, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმის გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ზოგადი მიზნები და ამოცანები იყო გაწერილი. ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (ჭადრაკი და ზოგადი უნარები) პროგრამის დოკუმენტი დაწესებულებამ ვიზიტის ყოფნის დროს ვერ წარმოადგინა. პედაგოგებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ გარდა ტესტური შემაჯამებელი დავალებებისა, სკოლა იყენებდა ზეპირი გამოკითხვის ფორმას. შეფასების რუბრიკის ან შემაჯამებელ დავალების ანალიზის შესახებ გასაუბრებისას პედაგოგები (მაგალითად ქიმიის პედაგოგი) აქცენტს აკეთებდნენ შედეგზე, ძირითადად ინტერვიუების დროს ყურადღება გამახვილებული იყო ეროვნული გამოცდების შედეგებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმა ვერ პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას არ აძლევდა მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

1.5 სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ინკლუზიური განათლების ორი დოკუმენტი, ერთი მათგანი ეროვნული სასწავლო გეგმის იდენტური იყო, ხოლო მეორე დოკუმენტი „ინკლუზიური განათლება“. ინკლუზიური განათლების ზოგად კონცეფციაში წარმოდგენილი იყო სკოლაში არსებული მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: სკოლის ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, მასაჟისტი, დამხმარე პედაგოგი, პედიატრი/ ექიმი - ზემოაღნიშნული გუნდის წევრები (გარდაექიმისა) სკოლას არც საშტატო განრიგით ჰყავდა გათვალისწინებული და მათთან არც შრომითი ხელშეკრულებები არ ყოფილა გაფორმებული. ისინი ასევე არ იძებნებოდნენ განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში. სკოლამ წარმოადგინა ი.ს.გ ფორმები. სკოლის დირექციის განმარტებით მათ არ ჰყავდათ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები. ამდებად, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს ვერ უზრუნველყოფდა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას არ ჰქონდა სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

1.6 სკოლამ წარმოადგინა სკოლის შეფასების პრინციპების დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული იყო: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. ამავე დოკუმენტში გაწერილი იყო: I-IV, V-XII კლასებში მოსწავლეთა შეფასების სისტემა. თუმცადა სკოლა ახორციელებდა მხოლოდ საშუალო საფეხურის სწავლებას. ამავე დოკუმენტში, მუხლი 22 მითითებული იყო, რომ „თუ საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლე სემესტრის განმავლობაში გააცდენდა ...“, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბაზო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობას სკოლა ვერ განახორციელებდა, რადგან მას ავტორიზაცია, მხოლოდ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის ჰქონდა მინიჭებული და შესაბამისად, სკოლას საბაზო საფეხურის მოსწავლე საერთოდ არ ჰყავდა. სკოლის შეფასების პრინციპების დოკუმენტის 23-ე მუხლით განსაზღვრული იყო,

რომ სკოლაში შესაძლებელი იყო ჩატარებულიყო განმეორებითი/საშემოდგომო გამოცდა, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლს. დოკუმენტით განსაზღვრული იყო, რომ ექსტერნის ფორმით გამოცდებს აბარებდნენ მოსწავლეები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 05 მარტის №15/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 18/ნ ბრძანებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი სახელწოდებით „შპს „ხიხანი“ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა სასკოლო შეფასება“, რომელიც ტექსტში, განსხვავებით სათაურისგან საუბარი იყო შპს „მწიგნობარზე“, რაც ბაღებდა საფუძვლიან ეჭვს, რომ დოკუმენტი გადმოკოპირებული იყო სხვა სკოლის დოკუმენტაციიდან და საერთო არაფერი არ ჰქონდა შპს „ხიხანთან“.

1.7 სკოლამ წარმოადგინა „ხიხანი“ საშუალო სკოლის მოსწავლის აკადემიური მოსწარების შესახებ მშობელთა ინფორმირების დოკუმენტი, რომელზეც ასევე კალმით იყო გადასწორებული „2015-2016 სასწავლო წელი“. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვებ-გვერდი არ მუშაობდა. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა მშობლების მიერ შევსებული ანკეტები და კითხვარების ანალიზის ნიმუშები. სკოლას ჰყავდა მშობელთა კომიტეტი, რომელთა უფლება - მოვალეობები გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესში. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2015 წლის მშობელთა სათათბიროს სხდომის ოქმი, სადაც განხილული იყო: სახელმძღვანელოების ნუსხა, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის თარიღის საკითხი, 2015-2016 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სკოლის მისიისა და სტრატეგიების გაცნობა. ზემოაღნიშნული ოქმის თარიღი ასევე კალმით იყო გადასწორებული. მოსწავლის აკადემიური მოსწარების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი შემუშავებული იყო, თუმცა იყო არასრული და მისი სასკოლო ცხოვრებაში გამოყენება არ დასტურდებოდა. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მშობელი არ იყო უზრუნველყოფილი სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.

1.8 სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების მექანიზმი, სადაც გაწერილი იყო საქმიანობის აღწერა, შესრულების დრო, პასუხისმგებელი პირი შესრულებაზე. დოკუმენტი დაამტკიცა სკოლის დირექტორმა 2016 წლის 7 სექტემბერს. პედაგოგებთან ინტერვიუებით, დადგინდა რომ, სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის განსახორციელებას ისინი ყოველდღიურად, ზეპირი გამოკითხვით, ხოლო მასალის დაგროვების შემდეგ კი ტესტურ გამოკითხვაში ხედავდნენ. თუმცა მასწავლებლების აზრი წარმოდგენილ დოკუმენტს არ შეესაბამებოდა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ვიზიტის დროს შპს „ხიხანი“ მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა განთავსებული იყო ქ. თბილისში გურამიშვილის გამზირის №64-ში მდებარე შენობის მე-6 სართულზე, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. 2016 წლის 01 აპრილს გაფორმებულ „საიჯარო ხელშეკრულებაში (2015 წლის 09 ივლისის №882015382867) ცვლილების შეტანის შესახებ“ გაფორმებული დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ იჯარით აღებული ფართი იყო 400.00 კვ.მ. თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში, აღნიშნულის თაობაზე არ ყოფილა მითითებული. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლა მდებარეობდა ამავე შენობაში, იგივე სიდიდის ფართში ოღონდ მე-7 სართულზე. აღნიშნულ ცვლილების შესახებ დაწესებულებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის არ უცნობებია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მე-6 სართულის შიდა აზომვითი ნახაზი არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტს. მასზე დატანილი არ იყო ფართობი, ფანჯრები და ა. შ.

2.2 სკოლის მიერ დაკავებულ ფართში განთავსებული იყო: 4 საკლასო ოთახი, ფიზიკის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი, ბუღალტრის სამუშაო ოთახი, კანცელარია, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებული იყო, როგორც ბიბლიოთეკა ასევე აიტი მენეჯერის და დირექციის წარმომადგენლის სამუშაო ადგილები და დირექტორის კაბინეტი. სკოლის საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა აღჭურვილი იყო ა) 220 ცალი ინდივიდუალური მერხით; ბ) 220 სკამით, დაფებითა და სხვა სათანადო ინვენტარი. რეალურად კი ადგილზე იყო: ა) 162 ინდივიდუალური მერხი; 182 სკამი და ა. შ.

2.3 დაწესებულება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა 160 კვ.მ. ფართობის არასტანდარტული ზომის და ფორმის სპორტდარბაზს, რომელიც დაშორებული იყო სკოლიდან დაახლოებით 100-150 მეტრით. ვიზიტის მსვლელობის დროს იჯარის ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულებას სააქციო საზოგადოება „თბილბარეშუმი ცისარტყელადან“ იჯარით აღებული ჰქონდა „უკარდული წარმოების თავისუფალი ფართი 160.00 კვ.მ.“, თუმცა არ იყო მითითებული თუ სად მდებარეობდა აღნიშნული ფართი და ასევე არც მისი აღწერილობა იყო სადმე მითითებული. აღნიშნული დარბაზი არ თბებოდა, მას არა ჰქონდა გასახდელი. ვიზიტის დროს დარბაზი დაკეტილი იყო და მისი დათვალიერება მოხდა მხოლოდ წინა მხარიდან, რომელიც შემინული იყო. უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო ფანჯრები დაცული ყოფილიყო რაიმე სახის კონსტრუქციით და თავიდან ყოფილიყო აცილებული მათი ჩამტვრევით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები. დარბაზში იყო ფრენბურთის ბადე, ჩოგბურთის მაგიდა, კალათბურთის ფარი, რომლებიც არ იყო დამონტაჟებული. დარბაზში ასევე იყო პიანინო.

2.4 სკოლას გააჩნდა ორი სველი წერტილი ერთი გოგონებისთვის და ერთი ვაჟებისთვის. აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული სველი წერტილებით სარგებლობდნენ სკოლის თანამშრომლებიც.

2.5 დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი იყო მწირი - მხოლოდ 692 ერთეული წიგნის ოდენობით. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, არსებობდა წიგნების აღწერის ელექტრონული ვერსია. თუმცა იგი არ იყო სრული და მიმდინარეობდა მისი შევსება. წარმოდგენილი საინვენტარიზაციო წიგნი შევსებული იყო არასწორად, არეული იყო მისი ნუმერაცია. წიგნების ნაწილი არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმდა სკოლის სასწავლო გეგმაში მითითებული სახელმძღვანელოების არსებობის საკითხი. აღმოჩნდა რომ ბიბლიოთეკაში არ იყო შემდეგი სახელმძღვანელოები: ა) მე-10 კლასის სპორტის სახელმძღვანელო ავტორი რ. ვაწაძე, ბ მაჩაბლიშვილი; ბ) მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო ავტორი ნ. ასათიანი, გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, ლ. ფირცხალავა; გ) მე-11 კლასის სახვითი და გამოყენების ხელოვნების სახელმძღვანელო ავტორები ნ. კუნჭულია, მ. მხაშიშვილი; დ) მე-11 კლასის სპორტის სახელმძღვანელო ავტორი რ. ვაწაძე, ბ მაჩაბლიშვილი; ე) მე-12 კლასის სპორტის სახელმძღვანელო ავტორი რ. ვაწაძე, ბ მაჩაბლიშვილი. სკოლის ბიბლიოთეკას არ გააჩნდა დამოუკიდებელი ოთახი, ის გაერთიანებული იყო კომპიუტერულ ლაბორატორიასთან, იქვე

იყო დირექციის ორი წარმომადგენლის (აიტი მენეჯერი და დირექტორის მოადგილის) სამუშაო ადგილი.

2.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებაში არ იყო პანდუსი. სკოლას ჰქონდა ლიფტი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. გოგონებისთვის განკუთვნილ საპირფარეშოში მოწყობილი იყო უნიტაზი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

2.7 სკოლაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა აღჭურვილი იყო 36 კომპიუტერით. დათვალიერების დროს კი აღმოჩნდა მხოლოდ 31 კომპიუტერი და 4 მონიტორი. აქედან არ მუშაობდა რვა კომპიუტერი. 23 კომპიუტერიდან ყველა ჩართული იყო ინტერნეტში, თუმცა კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული 17 მუშა კომპიუტერიდან ინტერნეტში 20 წუთიანი ლოდინის შემდეგ, მისამართზე www.mes.gov.ge შევიდა მხოლოდ 5 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერი ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი მოსწავლისა და პედაგოგისთვის. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი www.khiknani.edu.ge არ მუშაობდა.

2.8 სკოლის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი იყო დირექტორის მიერ 2012 წლის 04 სექტემბერს დამოწმებული „სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება“, რომელზედაც 2015-2016 სასწავლო წელი. გადასწორებული იყო ხელით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო შექმნილი შპს „ხიხანის“ მიერ, რაც ამ დოკუმენტის გაცნობისთანავე დგინდებოდა. მაგალითად პირველი თავის მე-3 პუნქტის მესამე აბზაცში მოხსენიებული იყო „მედდა“, რომელიც სკოლას არ ყავდა. მეორე თავის მე-4 პუნქტში საუბარი იყო გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელებზე, იმ პირობებში, როდესაც, სკოლას არც გახანგრძლივებული ჯგუფები ჰყავდა და არც ამ ჯგუფების აღმზრდელები. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ შეცვალა აღნიშნული დოკუმენტი და მათ წარმოადგინეს გასწორებული ვარიანტი, მაგრამ გასწორება შეეხო მხოლოდ დამოწმების თარიღს და სათაურიდან ამოღებულ იქნა ხელით გადასწორებული სასწავლო წელი, დანარჩენი ხარვეზები დარჩა უცვლელი.

2.9 სკოლას ჰქონდა დამატებითი შემოსასვლელი კიბის უჯრედიდან, რომელიც მდებარეობდა ლიფტის უკან, ეს შემოსასვლელი ვიდეომეთვალყურეობის კამერით არ კონტროლდებოდა. სკოლაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციას ეთხოვა ეჩვენებინა წინა დღეების ვიდეომეთვალყურეობის კამერების ჩანაწერები (დირექციის განცხადებით სისტემა ინახავდა დაახლოებით 24 დღის ჩანაწერს). აღნიშნულ თხოვნაზე მათ განმარტეს, რომ სისტემა დაზიანებული იყო მასში წყლის ჩასვლის გამო და აღდგენილ იქნა ვიზიტის დროს, შესაბამისად ჩანაწერები არ კეთდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩაწერა ხდებოდა ჩვეულებრივ კომპიუტერზე, რომლითაც, სარგებლობდა სკოლის აიტი მენეჯერი, ამასთან, არ ხდებოდა 24 საათიანი მეთვალყურეობა მონიტორზე.

2.10. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, საქმისწარმოების წესი. წარმოდგენილი შინაგანაწესის თავსართად მითითებული იყო: „დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2015 წლის 4 სექტემბერს“, თუმცა თარიღი ხელით იყო გადასწორებული. თავსართის ბოლოში ასევე ხელით იყო

გადასწორებული „2013-2014 სასწავლო წელი“. სკოლის შინაგანაწესში 48- მუხლის 1- ლი პუნქტის თანახმად, დასაქმებულის შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო განსაზღვრული იყო - 477 კალენდარული დღის ოდენობით, აღნიშნული გათალისწინებული იყო 2013 წლის 29 სექტემბრამდე მოქმედი შრომის კოდექსის რედაქციით. საქართველოს შრომის კოდექსის (ამჟამად მოქმედი რედაქცია) 27 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით.

ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე დეკრეტული შვებულება, ასევე შრომის კოდექსის ძველი რედაქციის მიხედვით იყო გაწერილი რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს შრომის კოდექსის (დღეს მოქმედი რედაქცია) 27 -ე 28- ე და 30 მუხლებთან. სკოლის შინაგანაწესში ასევე გაწერილი იყო სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობები. სკოლის დირექციასთან ინტერვიუებით კი დადგინდა რომ სკოლას საერთოდ არ ჰყავდა მანდატური.

2.11 სტრატეგიული განვითარების გეგმაში „შეფასების საკუთარი ფორმების შემუშავება“ მითითებული იყო, რომ „სასურველია გაგრძელდეს სკოლის ტრადიცია - I საფეხულის V – VI კლასების და II – III საფეხურის ყველა კლასში შუალედური და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების . . . “. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლს და 23² მუხლის მე-3 პუნქტს, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას არ ჰქონდა და არც არასდროს ჰქონია საშუალო განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურები. აღნიშნული ჩანაწერიდან იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი, ნახსენები, გეგმები წარმოადგენდა სხვა სკოლის საკუთრებას.

2.12 სკოლაში მიმდინარეობდა შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალის, მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალის, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალის, ბრძანებების წიგნის, მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნის წარმოება. ექსპერტთა ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ არ იყო ნაწარმოები შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი და არც ცარიელი ფურცლები იყო დანომრილი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულების მიერ წარმოადგენილ იქნა პედაგოგებთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. მათი უმრავლესობა დადებული იყო 2012 წლის 01 სექტემბერს და მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის 01 სექტემბერივე, რომელიც გადასწორებული იყო კალმით, 2013 წლის 01 სექტემბრად. სკოლის დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა რომ სხვა, პედაგოგთან/ პერსონალთან გაფორმებული ახალი შრომითი ხელშეკრულება არ 03.09.2012 წელს 2012 წლის 3 სექტემბერს ზურაბ დუმბაძესთან არსებობდა. შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული იყო, რომლის მიხედვითაც, შრომითი ურთიერთობის ვადა განსაზღვრული იყო 2012 წლის 01 სექტემბრამდე.

პედაგოგებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებათ არ იყო გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება, მასში მითითებული იყო რომ იგი განისაზღვრებოდა „მხარეთა შეთანხმებით“, აღნიშნული კი ეწინააღმდეგებაში მოდიოდა შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან, რომლითაც განსაზღვრული იყო შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებო. ხელშეკრულებაში (მუხლი 4, 4.6) პედაგოგების ვალდებულებად განსაზღვრული იყო მათი კვირეული დატვირთვა კლასსა და კონკრეტულ საგანში, მაგალითად: 2012 წლის სექტემბერში მე-12 ა,ბ,გ,დ კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი 2016 წლისთვის ვეღარ იქნებოდა იმავე კლასის პედაგოგი, იგივე დატვირთვით. სავარაუდოდ, მას შეეცვლებოდა დატვირთვა საათობრივი კლასების მიხედვით.

3.2 სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო აქტივობის შინაარსი, შესრულების დრო, პასუხისმგებელი პირი და მონიტორინგის ეტაპები. აღნიშნული დოკუმენტის თარიღი ასევე კალმით იყო გადასწორებული 2015-2016 სასწავლო წლად. აქტივობის შინაარსით განისაზღვრებოდა სკოლის საკადრო პოლიტიკის შემუშავება, ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი კრიტერიუმების და სტრატეგიების გათვალისწინებით, რომლის შესრულების თარიღად მითითებული იყო აგვისტოს თვე, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული, რომელი წლის აგვისტოზე იყო საუბარი. ბუნდოვანი იყო სხვა ქტივობების თარიღებიც. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რაც არ შეესაბამებოდა სტანდარტს.

3.3 დაწესებულება სასწავლო პროცესს იწყებდა 14 საათზე. სკოლაში ვიზიტის პირველ დღეს გადამოწმდა იყო გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრება და საკლასო ჟურნალების წარმოება. სკოლაში იყო ოთხი მე-12 კლასი, ორი მე-11 კლასი და ერთი მე-10 კლასი, სულ 7 ფინანსური კლასი და მათში ერთად ირიცხებოდა 144 მოსწავლე. 144 მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა 14 მოსწავლე. იყო შემთხვევები, როცა გაკვეთილს ესწრებოდნენ ის მოსწავლეები, რომლებიცარ ირიცხებოდნენ იმ კლასის სიაში, ამასთან მათთვის უცნობი იყო, თუ იცოდნენ რომელ კლასში ირიცხებოდნენ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 4 კლასის, მე-10 კლასის, მე-11¹ კლასის, მე-11² და 12⁴ კლასების საკლასო ჟურნალები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არ ხდებოდა მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა, დადგენილი წესის შესაბამისად არ ხდებოდა საკლასო ჟურნალების წარმოება და , მათში შეფასებების შეტანა და დაჯამება.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეფიქსირებინა პოზიცია საგანმანალებლო პროგრამის სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზის თაობაზე. თავმჯდომარემ ამასთან განმარტა, რომ მას არასდროს მოუსმენია აღნიშნული რაოდენობის შენიშვნა, სხვა დაწესებულებებთან მიმართებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფის შესვლა მათ სკოლაშისაკმაოდ მოულოდნელი იყო. სკოლას ჰქონდა გარკვეული ამოვარდნები და ნაკლოვანებები, თუმცა ის ფაქტი, რომ სკოლა წლების მანძილზე ფუნქციონირებდა და მიმდინარეობდა მუშაობა, დოკუმენტაციაზეც ნათელი იყო. წარმომადგენლის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტაციის წინა წლების ვერსიებს, ვინაიდან სკოლას არ მიეცა საშუალება ამოებეჭდა არსებული მასალები. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო

გაზიარებული და გამოსწორებული და შესაძლებელი იყო ახალი დოკუმენტაციის საბჭოზე წარმოდგენაც.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ სრულყოფილი დოკუმენტაცია დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ყოველდღიური მოხმარებისათვის, როგორც სახელმძღვანელო სკოლის ფუნქციონირებისათვის და არა საბჭოს წინაშე წარსადგენად.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ, ვიზიტის დროს ამოსაბეჭდად გამზადებული იყო ყველა დოკუმენტი, უბრალოდ ექსპერტმა უარი განუცხადა მათ მიეღო ამოსაბეჭდი მასალა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, მიაწოდა თუ არა ექსპერტმა მათ დასკვნაში ასახული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ხარვეზების მიხედვით ყველაფერზე გასცეს ექსპერტებს პასუხი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმომადგენლებისგან ელოდა დასკვნიდან გამომდინარე არსებული მძიმე სურათის გაბათილებას მათი პასუხების მეშვეობით. სკოლას ჰქონდა საკამოდ რთული პრეისტორია, რიგ შემთხვევებში გაიცემოდა ავტორიზაცია, ან ხდებოდა მისი ჩამორთმევა და მისთვის წარმოუდგენელი იყო მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ კიდევ აღნიშნული რაოდენობის შენიშვნების არსებობა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით, 144 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა მხოლოდ 14, მას აინტერესებდა შეესაბამებოდა თუ არა აღნიშნული სიმართლეს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მისვლის დღე იყო შაბათი, ამდენად. პრობლემა დასწრებასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ პირველ გაკვეთილზე, ხოლო ექსპერტებმა მოისურვეს სწორედ პირველი გაკვეთილის შემოწმება.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ საკამოდ უხერხული იყო მათი არგუმენტი, ვინაიდან ქალაქის გარეუბნების სკოლებში დილის ცხრა საათზე თუ იწყებოდა სწავლა სრული მოსწრებით, შუა დღეს 14:00 საათზე პრობლემა არ უნდა ყოფილიყო მოსწრება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 14:00 საათზე სწავლის დაწყება იყო მშობლების მოთხოვნა ხოლო პირველი გაკვეთილს შემდგომ კლასები ივსებოდა. მისი განმარტებით, მართალია სახეზე არ იყო 100 პროცენტისანი მოსწრება, მაგრამ კლასები ივსებოდა მაქსიმალურად.

საბჭოს წევრი გიორგი გიგიბერია დაინტერესდა, თუ რამდენმა ბავშვმა დაამთავრა წინა წელს და რამდენი იყო მედალოსანი. წარმომადგენელმა განმარტა რომ წინა წელს დაამთავრა 87 მოსწავლემ, აქედან არცერთი არ ყოფილა მედალოსანი. საბჭოს წევრმა გიორგი გიგიბერიამ განაცხადა, რომ მათი სტატისტიკის მიხედვით, 2010, 2011, 2012 წლებში მითითებული ჰყავდათ 12 მედალოსანი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 12 მედალოსანი ჰყავდათ მხოლოდ 2009 და 2010 წელს. თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენელს შეფასებასთან დაკავშირებით, იგი დაინტერესდა ხდებოდა თუ არა მოსწავლეთა შეფასება, ვინაიდან დასკვნაში ეწერა, რომ არ ხდებოდა მოსწავლეთა მოსწრების შეფასება არ ხდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეფასება ხდებოდა სკოლაში. თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს დაედასტურებინა დასკვნაში არსებული ინფორმაციის სისწორე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო ის მდგომარეობა რომელიც არსებობდა სკოლაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში 2 დეკემბერს გადმოგზავნილი იქნა გამოსწორებული დოკუმენტაცია (660 გვერდად).

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ გახსნილი ჰქონდა სკოლის ვებგვერდი, რომელიც წარმომადგენლის განცხადებით იყო განახლებული, ვებ გვერდზე ატვირთული იყო სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც იწყებოდა შემდეგი წინადადებით: „ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა ...“ და გვერდების რაოდენობა ზუსტად ემთხვეოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარუდგინა საბჭოს წევრებს სასკოლო სასწავლო გეგმა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა იყო რედაქტირებული, ვინაიდან ექსპერტებს ვიზიტის პერიოდში წარედგუნათ, სხვა დოკუმენტი და ვებ გვერდზეც ატვირთული იყო სხვა. თუმცა შინაარსობრივად სასკოლო სასწავლო გეგმა იყო ეროვნული სასწავლო გეგმის იდენტური, მხოლოდ ტერმინი „ეროვნული სასწავლო გეგმა“ „იყო შეცვლილი „სასკოლო სასწავლო გეგმით.“

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ადმინისტრაციას რამოდენიმეჯერ მიეცა მითითება ამა თუ იმ დოკუმენტის შეცვლის თაობაზე, თუმცა რეკომენდაციის შედეგად, შეცვლილი დოკუმენტიც ისევ ხარვეზიანი იყო. შემდგომ წარმომადგენლებმა საერთოდ უარი განაცხადეს მათთან კომუნიკაციაზე და დოკუმენტების მოწოდებაზე. ექსპერტებმა გააფრთხილეს წარმომადგენლები, რომ თუ კი ისინი არ მიაწოდებდნენ დოკუმენტებს, ვიზიტი შეწყდებოდა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, სკოლას არ ჰქონდა სერიოზული დამოკიდებულება იმ საქმიანობის მიმართ, რასაც ახორციელებდა. დასკვნიდან ჩანდა, რომ მათი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოვლენილ გარემოებებს. ექსპერტთა განმარტებით პრობლემები ფიქსირდებოდა ფართის ფლობასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკა და წიგნადი ფონდი არ იყო მოწესრიგებული, ხარვეზები იკვეთებოდა უსაფრთხოების დოკუმენტშიც.

წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა თავმჯდომარეს მიეცათ მათთვის 60 დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ მიერ სრულად გამოსწორდებოდა არსებული ხარვეზები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოზე განიხილებოდა დასკვნა და დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი დრო ემუშავა ხარვეზების აღმოფხვრაზე.

წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ძირითადი ხარვეზები გამოსწორებული იყო და დანართის სახით შეცვლილი დოკუმენტაცია 660 გვერდად გადმოგზავნილი იყო ცენტრში.

ექსპერტმა განმარტებით, რომ იგი ნაწილობრივ გაეცნო ცენტრში გდმოგზავნილ გამოსწორებულ დოკუმენტაციას, თუმცა მასში კვლავ ფიქსირდებოდა რიგი ხარვეზებისა. ექსპერტის განცხადებით, პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა სკოლის მისიას და ა. შ. . ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც ვიზიტის დროს შევიდნენ საკლასო ოთახებში, ერთი და იმავე კლასის 14 მოსწავლე არ იცნობდა ერთმანეთს არ იცნობდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მათთვის კარგად იყო ცნობილი, თუ როგორ მიმდინარეობდა სწავლება აღნიშნულ სკოლაში და როგორი იყო მოსწავლეების დასწრება მისი განმარტებით, ყოველივე ზემოთქმული დაწესებულებისათვის არ წარმოადგენდა სიახლეს. მათ შეეძლოთ მხოლოდ დოკუმენტაცია მაინც ჰქონოდათ მოწესრიგებული, თუ არ აპირებდნენ მოსწავლეთა დასწრებაზე და სასწავლო პროცესის გამართვაზე ზრუნვას.

წარმომადგენელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრის განცხადებას.

თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენელს ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით გაეკეთებინა განმარტება, კერძოდ, ეთანხმებოდა თუ არა მასში გადმოცემულ მონაცემებს, რატომ არ მოხდა ცარიელი სარეგისტრაციო ჟურნალის გასწორება, როდესაც მათ ჰქონდათ პირდაპირი ვალდებულება ეწარმოებინათ დოკუმენტაცია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად/ იგი ასევე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდნენ აღნიშნული შეუქცევადი პროცესების გამოსწორებას.

წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ სთხოვა საბჭოს მიეცა ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. მან ასევე მოითხოვა თუ იყო შესაძლებელი ჩატარებულიყო ხელახალი მონიტორინგი, ვინაიდან სკოლაში არსებობდა რიგი ხარვეზებისა რომლებიც გამოსწორდა და მაქსიმალურად მიუახლოვდა სრულყოფილ სურათს.

ავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხიხანი მრავალპროფილიან საშუალო სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზოციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლას (ს/კ: 204955708) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ თუ მათ კიდევ ექნებოდათ სურვილი შემოეტანათ განაცხადი ავტორიზაციაზე, კარგად გაეაზრებინათ თუ რა საქმეს ემსახურებოდნენ და სტანდარტების შესაბამისად, სისრულეში მოეყვანათ ყველა საჭირო დოკუმენტაცია. თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მათ შეეძლოთ გაესაჩივრებინათ სააპელაციო საბჭოს ხოლო შემდგომ სასამართლოს მეშვეობით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

თავმჯდომარე : გრიგოლ მურდულია

მდივანი : არჩილ სუმბაძე

